ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #29

(გამარტივებული შესყიდვა, ზღვრების შესაბამისად)

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება„კულტურის ცენტრი“ შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატო შავიშვილის სახით და შპს „ახალი ნათება“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემური არდოტელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდე)ბლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების 1.7. პუნქტითგათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7.

ხელშეკრულების საგანი: მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება„კულტურის ცენტრი“–ს მიერ „კულტურის ცენტრი“–ს საკონცერტო დარბაზისთვის სცენის ნათურების (15 ერთეული) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კლასიფიკატორის კოდი: Cpv31512000

1.8. ხელშეკრულების ღირებულება: 930(ცხრაასოცდაათი)ლარი

1.9. მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2023 წლის 31 მარტის ინვოისში N ა6SB0000314;

1.10. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

1.11. დაფინანსების წყარო – 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი;

2. მხარეთა უფლება–მოვალეობები:

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. , საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

2.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით

2.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი შესასყიდ საქონელთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, აგრეთვე გონივრულ ვადაში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

2.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

2.2.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების ვადებისა და პირობების დაცვით.

2.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპეტირებას განახორციელებს შემსყიდველი საქონლის მიწოდებისას, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

3.3. კონტროლს განახორციელებს მარნეულის კულტურის სახლის სცენის გამნათლებელი შოთა კიპაროიძე.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიწოდებულ საქონელში კონტროლის (ინსპექტირების)შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება გონივრულ ვადაში.

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება„კულტურის ცენტრი“ს დირექტორი ნატო შავიშვილი.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

5.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3. ანგარიშსწორების ვადა – მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (საქონლის მიწოდებიდან), არაუგვიანეს 2023 წლის 16 აპრილისა

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%–ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

9.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. თითეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

10.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს–მაჟორი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

11.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია მხარეების მიერ ელექტრონულად.

14. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მარნეულისკულტურის ცენტრის „ მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან შპს „ახალი ნათება“ ს- თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო,საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება ,კულტურის ცენტრი”ს/კ. 234233497;

მისამართი:ქ.მარნეული, რუსთაველის ქ. #108; სახელმწიფო ხაზინა,

მარნეულის კულტურის ცენტრის დირექტორი

——————— ნატო შავიშვილი

Nato Shavishvili

Digitally signed by Nato Shavishvili
Date: 2023.04.10 10:30:59 +04'00'

მიმწოდებელი

შპს ,,ახალი ნათება“ ს/კ 202066156 მისამართი:ქ.თბილისი. ალ.ყაზბეგის ქ. 25 ა მომსახურე ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი; ანგარიშის ნომერი: GE 74PC0053600100013179.ბანკის კოდი: MIBGGE22

გენერალური დირექტორი

———————თემური არდოტელი

New Light LLC

Digitally signed by New Light LLC
Date: 2023.04.10 11:24:46 +04'00'